



ნატო-ს პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარება: პარტნიორობის პრაქტიკული და პოლიტიკური განზომილება

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა დაიწყო ევროპაში პარტნიორთა მცირე ჯგუფთან თანამშრომლობის გაძლიერება. ექსპერტები თვლიან, რომ 2030 წლამდე ალიანსისთვის გლობალურ გამოწვევად კვლავ რუსეთი დარჩება. ამიტომ ამ მიმართულებით ნატოს ალიანსი პარტნიორობის საკითხების გადახედვას გეგმას.

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების თანახმად, ნატოს მთავარი მისია არის კოლექტიური თავდაცვა, 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია ალიანსს ორ დამატებით მისიას აძლევს: კრიზისული რეაგირება და თანამშრომლობის უსაფრთხოება. ალიანსის მისიის შესრულების შესაძლებლობას მხარს უჭერს პარტნიორობის ფართო ქსელი. სამი ათწლეულის განმავლობაში ნატომ შეიმუშავა პარტნიორობა ევროპის 40 ქვეყანასთან, სამხრეთ კავკასიიდან, შუა აზიიდან, ხმელთაშუაზღვისპირეთიდან და სპარსეთის ყურიდან, ისევე როგორც გლობალურ პარტნიორებთან. ორგანიზაცია ამ პარტნიორებს სთავაზობს მონაწილეობას 1500-მდე პროექტში, თითქმის 40 სფეროში, მათ შორისაა სამხედრო სწავლება, კონსულტაცია და წვრთნები. ისინი ასევე ხელს უწყობენ შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო სტრუქტურების რეფორმას, რომლებიც სამხედროების კონტროლზე პასუხისმგებელი იმ ქვეყნების მიერ არიან, რომლებსაც ნატოში გაწევრიანება სურთ.

2004 წლიდან, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ევროპასა და მის უშუალო მეზობელ პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარებაზეა ფოკუსირებული. თავსებადობის პლატფორმის შექმნის მიუხედავად, ალიანსსა და ზოგიერთ პარტნიორს შორის პოლიტიკური კონტაქტების ინტენსივობა, შესაძლოა შესუსტდეს. ამავე დროს, აშშ-სა და ჩინეთს შორის კონკურენცია მძაფრდება. უპირველეს ყოვლისა, ალიანსი ეძებს პრაქტიკული და პოლიტიკური თანამშრომლობის განმტკიცების გზებს

აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან. ამგვარი თანამშრომლობის პოლიტიკური ხილვადობა გავლენას მოახდენს აშშ-სთვის ნატოს მნიშვნელობაზე და ტრანსატლანტიკური ურთიერთობების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. პრაქტიკული თვალსაზრისით, მჭიდრო თანამშრომლობა, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა იყოს ფოკუსირებული ჰიბრიდული საფრთხეების, თავდაცვითი ღონისძიებების კოორდინაციასა და საზღვაო ხაზების უსაფრთხოებაზე. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და შავი ზღვა გახდება თუ არა ნატოსთვის მიმზიდველი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

„უკრაინა და საქართველო ნატოს ღირებულ პარტნიორები არიან და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამ სიაში, ჩვენ განვიხილეთ რეფორმები და ვაძლიერებთ პრაქტიკულ და პოლიტიკურ მხარდაჭერას , მე კმაყოფილი ვარ , რომ მოკავშირეებმა და საქართველომ არსებითი პაკეტის განახლება დაამტკიცეს“- ეს განაცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნატოს სამიტზე რამდენიმე დღის წინ გააკეთა. ნატოს ანგარიშში გხვდება ჩანაწერი სადაც აღნიშნულია, რომ ნატომ საქართველოსა და უკრაინასთან, რომლებსაც უწევთ რუსეთიდან მომდინარე გამოწვევებზე გამკლავება, თანამშრომლობას უნდა გადახედოს.

ნატოსკენ მიმავალ გზაზე პოლონეთი, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია, რომელიც საქართველოსთან, უკრაინასთან, შვედეთთან და ფინეთთან პარტნიორობის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. თანამშრომლობის ფარგლებში საუბარია ბალტიის ზღვაში ორგანიზებულ წვრთნებზე. და ამის სანაცვლოდ, შეიძლება მოსალოდნელი იყოს პარტნიორობის მხრიდან ნატო-ს დახმარებით საქართველოსა და უკრაინისთვის ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა.

წყაროები:

<https://bit.ly/3rsJCdh>

ავტორი: ნათია კოპალიანი